გ ანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრები: ირინე ფხაკაძე

ხათუნა წერეთელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაობა**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245445004**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 ივლისის N637 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები ირინე ფხაკაძე და ხათუნა წერეთელი) 2019 წლის 1 და 2 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში BPA.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის „ფარმაციის (სააფთიაქო)“, „საექთნო განათლების“ და „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე, დღის წესრიგის შედგენის მიზნით, მოხდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია და დღის წესრიგის შეჯერება;

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 2019 წლის 25, 26 და 27 თებერვალს გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

რეკომენდაცია:

1. დაზუსტდეს პროგრამების შემუშავების პროცედურა და შეიქმნას პროგრამის შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია - <u>შესრულებულია</u>

2. პანდუსები გაკეთდეს მესამე სართულზეც - <u>შესრულებულია.</u>

3. დააზუსტოს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი - <u>შესრულებულია.</u>

4. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს იმ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა, რომელთა პერსონალური მონაცემები განთავსებულია ვებ გვერდზე - <u>შესრულებულია.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

5. შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტი საწარმოო პრაქტიკისათვის (ან დღიური, ან უწყისი, ან სხვა) და არსებული დებულება დაკორექტირდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისათვის - შესრულებულია.

6. პროფესიული პროგრამისათვის „საფინანსო სერვისები“ რეკომენდირებულია გაფორმდეს მემორანდუმი კომერციულ ბანკთან - შესრულებულია.

7. განახლდეს პროგრამების კატალოგი - შესრულებულია.

8. მოწესრიგდეს პროგრამის შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია - შესრულების პროცესშია.

9. სასურველია წიგნების ელექტრონულ კატალოგში მოხდეს წიგნების ისე დახარისხება, რომ ადვილი იყოს სასურველი წიგნის მოძებნა - არ შესრულებულა ობიექტური გარემოებების გამო, კერძოდ დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს როგორც open-biblio, ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული წიგნები, სადაც პერიოდულად იტვირთება ყველა ის ელ.რესურსი რომელსაც დაწესებულება მოიპოვებს ან ქმნის, შესაბამისად, დაწესებულების აიტის განცხადებით, ალფავიტით მათი განთავსება სიძნელეებთანაა დაკავშირებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ Ctrl F თავისუფლად იძებნება ნებისმიერი წიგნი, როგორც ავტორით, ისე დასახელებით.

გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმები, შეფასების სისტემა, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და სხვა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების A, B და C გარემო, დაწესებულების ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

განხორციელდა ვიზიტი საწარმოო პრაქტიკის ბაზებზე - **შპს „ჰეკატე“ და სს „ევექსის ჰოსპიტალები“**. გასაუბრება მოხდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

განხოციელდა გასაუბრება დაწსებულების ხელმძღვანელთან, დირექტორის მოადგილესთან - სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, პოგრამების განმახორციელებელ პირებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი ეხება დაწესებულების მიერ დამატებაზე წარმოდგენილ სამივე -„აღმზრდელის“, „ფარმაციის (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლების“ - მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიული სტუდენტებისათვის; | | | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პროგრამების დამატების საკითხთან მიმართებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**ქვესტანდარტი 1.2. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ა))**

- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;

**ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი დ))**

- რეკომენდებულია დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

**ქვესტანდარტი 1.6 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ პუნქტი ვ))**

- რეკომენდებულია შეიქმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შემუშავდეს ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი (სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შეფასების ფურცლები, ლექციებზე დასწრების კითხვარები და სხვა)

**ქვესტანდარტი 2.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ პუნქტი დ))**

- დაწესებულებამ გაწეროს კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი.

**ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ პუნქტი თ))**

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას მიეთითოს თარიღები.

**ქვესტანდარტი 3.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/ პუნქტი ბ))**

- დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების დანართი 1-ში განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ფორმულირება თანხვედრაში მოიყვანოს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით მინიჭებულ კვალიფიკაციისათან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

## VII. დაწესებულების მისია

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA მისიაა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზებით უზრუნველყოს:

-კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა თეორიული ცოდნა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარები შეესაბამება პროფესიული განათლების თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს;

- პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა, მათი დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის მომზადება;

- მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობა კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობების წახალისება და პროფესიული სტუდენტების/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერა;

- პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N122 გადაწყვეტილებით შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიას BPA მიენიჭა ავტორიზაცია და

1. ბუღალტული აღრიცხვა (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში);
2. საოფისე საქმე (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში);
3. ფინანსური სერვსები (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

დაწესებულებას ასევე მიენიჭა მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების:

1. ბანკის ოპერატორი (ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
2. ფარმაცევტის თანაშემწე (ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
3. პრაქტიკოსი ექთანი (პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
----------------------
----------------------

მილევად რეჟიმში განხორციელების უფლება.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 125-ით.

ავტორიზებულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულებას არ ყავს პროფესიული სტუდენტები, ხოლო მილევად რეჟიმში განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეესტრის მონაცემებით ჯამში, სულ სწავლობს 40 პროფესიული სტუდენტი (ბანკის ოპერატორი-6; ფარმაცევტის თანაშემწე-15; პრაქტიკოსი ექთანი-19).

დაწესებულებას სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. „აღმზრდელი“
2. „ფარმაცია (სააფთიაქო)“
3. „საექთნო განათლება“

ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

**დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:**

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მუხლი 7, პ.4 ე) ქვეპუნქტის და 2019 წლის 7 ივნისის დაწესებულებაში პროგრამების დამატების სხდომის N4 ოქმის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ 2019 წლის 10 ივნისის ბრძ. N01-18. დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძ. N01-22-ით ფარმაციის (სააფთიაქო) და საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში შეტანილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, თუმცა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების დამტკიცების გრიფში მითითებულია ცვლილების ბრძ. N01-22; 21.06.2019 წ. და არაა მითითებული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების დამტკიცების ბრძ. N 01-18; 10.06.2019 წ, ასევე აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რომელშიც არ

განხორციელებულა ცვლილება საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის დამტკიცების გრიფში მითითებულია ცვლილების ბრძ. N01-22; 21.06.2019 წ. და არა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის დამტკიცების ბრძ. N 01-18; 10.06.2019 წ.
**აღნიშნული დაწესებულებამ ჩაასწორა (დირექტორის 01.08.2019 წ. ბრძ.N01-29) და წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში არაა მითითებული მოდულის განხორციელების ადგილი.
**აღნიშნული დაწესებულებამ ჩაასწორა (დირექტორის 01.08.2019 წ. ბრძ.N01-29) და წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებას არა აქვს გაწერილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმი, თუმცა განხორციელდა ცვლილებები.
**აღნიშნული დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ჩაასწორა და წარმოადგინა 2019 წლის 1 აგვისტოს ბრძ.02-27** დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და შეფასების მექანიზმი" „მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა", სადაც აღნიშნულია, რომ : „1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შდეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. 2. პროგარმაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის დირექტორის მოადგილეს სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს."

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)"**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის

(საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (2020 წლის 29 თებერვლამდე) (კოდი - 090352) და ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში/ Associate Degree in Pharmacy (2020 წლის 29 თებერვლიდან-სფეროს კოდი 0916)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 123 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 153 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 82 სასწავლო კვირა; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 102 სასწავლო კვირა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები აფთიაქებთან:

1. შპს „ჰეკატე“ (ხელშ. N03-09; 3.05.2019წ)
   1) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
   2) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;
   3) მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
   4) სითხოვანი წამლების ფორმების მომზადება;
   5) მყარი და რბილი წამლების ფორმების მომზადება;
2. შპს „გვირილა-2“ ( ხელშ. N 03-08; 2.05.2019წ)
   1) სითხოვანი წამლების ფორმების მომზადება;
   2) მყარი და რბილი წამლების ფორმების მომზადება;
   3) მცირე შეფუთვად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;
   4) მომხმარებლისათვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
   5) მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
3. შპს „ბაკურაძე და კომპანია“ (ხელშ. N03-11; 17.05.2019წ)
   1) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
   2) მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
   3) მცირე შეფუთვად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;
   4) პროდუქციის მიღება განთავსება; ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
   5) სანიტარულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებებში.

ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული რამდენი სტუდენტის მომსახურება შეეძლო პრაქტიკის ობიექტს.
**დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ჩასწორებული ხელშეკრულებები** (შპს „ჰეკატე“ (ხელშ. N03-19; 1.08.2019წ) შპს „გვირილა-2“ ( ხელშ. N 03-18; 1.08.2019წ); შპს „ბაკურაძე და კომპანია“ (ხელშ. N03-20; 1.08.2019წ)) რომლებშიც ჩამატებულია პ.3. და განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის ობიექტი მოემსახურება დაწესებულების 40 პროფესიულ სტუდენტს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტაა 40 პროფესიული სტუდენტი.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დაწესებულებას დასაბუთებული აქვს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის შესწავლით, ანალიზით, დამსაქმებელთა ჩართულობით, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა დამატებაში.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (2020 წლის 29 თებერვლამდე) კოდი - 090354 და ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (2020 წლის 29 თებერვლიდან-სფეროს კოდი 0913)
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 180 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 210 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 119 სასწავლო კვირა; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 139 სასწავლო კვირა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის

კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა.
პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან:

1. შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი" (ხელშ. 03-15; 18.07.2019წ)
   1) კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა;
   2) ფსიქიატრია და შემაჯამაებელი პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
2. შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი" (ხელშ.N 03-16; 22.07.2019წ)
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამაებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამაებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამაებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამაებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
3. სს „ევექსის ჰოსპიტალები" (ხელშ. N03-14; 17.07.2019წ)
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამაებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამაებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამაებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამაებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
4. სს „ევექსის ჰოსპიტალები" (ხელშ. N03-17; 22.07.2019წ)
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამაებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამაებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამაებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამაებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

9) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო დაგინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
10) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
11) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები
12) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები

ხელშეკრულებები მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ექთნის მიმართ, მათ ფუნქციებს, პასუხისმგებლობასა და უფლება-მოვალეობებს, ასევე ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, წახალისების და სხვა საკითხების დასმის უფლებამოსილებას, სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგბელობის დასმის უფლებამოსილებას და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხებს.
დაცულია თანაფარდობა პროფესიული სტუდენტებთან 1/7თანაფარდობა.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დაწესებულებას დასაბუთებული აქვს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის შესწავლით და ანალიზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში (კოდი - 030255).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 116 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 146 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 81 სასწავლო კვირა; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 101 სასწავლო კვირა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
-----------------------
-----------------------

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან: ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან (მემ.N04-02; 10.05.2018წ) და შპს „ლიდერ სტარ"-სთან (მემ.N04-03; 11.05.2018წ).

აკადემიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი" მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დაწესებულებას დასაბუთებული აქვს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის შესწავლით და ანალიზით.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის 2 ობიექტზე - შპს „ჰეკატე" და სს „ევექსის ჰოსპიტალები".
შპს „ჰეკატე" წარმოადგენს სააფთიაქო ქსელს ქ. ბათუმში, რომელსაც გააჩნია 13 აფთიაქი და ასევე პარაფარმაცევტული სუპერმარკეტი, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტის მიღება;
სს „ევექსის ჰოსპიტალებში" შესაძლებელია ერთდროულად 60 პროფესიული სტუდენტის მიღება-განთავსება.
განხორციელდა ინტერვიურება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან - ხელმძღვანელებთან, რომელთაც მზადყოფნა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე და შეფასების პროცესში მონაწილეობაზე. გასაუბრების შედეგად დადგინდა ორივე ობიექტს მოლოდინი აქვს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მომზადდება მათთვის სასურველი კადრები, რომლებიც დასაქმდებიან მათ ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია სამუშაო პირობები.

ინტერვიურება ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული მასწავლებლები იცნობენ მოდულის განხორციელების და შეფასების სპეციფიკას, დაწესებულების მიერ ჩატარებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
----------------------
----------------------

ტრენინგი შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმების შემუშავების შესახებ. პროფესიული მასწავლებლები მზად არიან გაუმკლავდნენ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გამოწვევებს.

შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიას BPA „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების" მუხლი 26. შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა" თუმცა <u>არ აქვს</u> <u>გაწერილი შეფასების აპელაციის პროცედურა.</u>

რეკომენდაცია

- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება" (დამტკ. დირექტორის ბრძ.N01-37, 27.12.2017 წ.ცვ. N01-28, 01.11.2018წ);
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება/ცვლილებების აქტით;
- დირექტორის 01.08.2019წ; ბრძ.N01-27 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და შეფასების მექანიზმით" ;
- დირექტორის 01.08.2019წ; ბრძ.N01-29-პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანი შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების „ფარმაცია (საათიაქო)", „საექთნო განათლება" და „აღმზრდელი" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- ხელშკრულებებით და მემორანდუმებით;
- ინტერვიურებით ;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA-ს ვებ-გვედზე http://bpa.ge განთავსებულია პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების 2019 წ კატალოგი, რომელიც დაწესებულებაშიც არსებობს მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ასევე ინფორმაციას სწავლის შედეგების მიღწევის და კრედიტების მინიჭების შესახებ, ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და ანონსი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პროფესიული მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალურად არსებული კატალოგით;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA-ს ვებ-გვედზე http://bpa.ge განთავსებული საგანმნათლებლო პროგრამების 2019 წ კატალოგით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
----------------------
----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
„ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.04.2019 წ. ბრძ.N 274/ი (დანართი 2). „საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „საექთნო განათლება" დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.04.2019 წ. ბრძ.N 274/ი (დანართი 1).
„აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „აღმზრდელი" დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 12.12.2017 წ. ბრძ.N 192/ნ .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
----------------------
----------------------

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიას BPA „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (დამტკ. 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 18), სტატუსის შეჩერება/აღდგენა(მუხლი 22); სტატუსის შეწყვეტის (მუხლი 23), მობილობის (მუხლი 21), ასევე მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 28) წესები.

მუხლი 22. „სტუდენტის სტატუსის შეჩერება". პ.10-ი მოიცავს ჩანაწერს „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ/მინიმალური ვადები განისაზღვრება ინდივიდუალურად დირექტორის ბრძანებით" სასურველია მითითებული იყოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

<u>დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" არ არის გაწერილი არასრულწლოვანი და უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების მქონე პირთა ჩარიცხვის, ასევე შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები.</u>

**დაწესებულებამ აღნიშნული ჩაასწორა (ბრძ. N01-28; 01.08.2019წ.) და წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში**

გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა და საგანმანათლებლო რეესტრი, დაწესებულებას არ განუხორციელებია მობილობა და განათლების აღიარება, გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა („საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება" მუხლი 39).

გადამოწმდა არასრულწლოვან და სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, პორტფოლიოებში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, პროფესიულ სტუდენტებთან (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების სრული საფასური, გადახდის პირობები, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები, თუმცა <u>რეგულაციით არ იყო</u>

<u>გაწერილი რა დოკუმენტები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი აპლიკანტის მიერ სტუდენტის სტასუსის მისანიჭებლად.</u>

**დაწესებულებამ აღნიშნული ჩაასწორა (ბრძ. N01-28; 01.08.2019წ.) და წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში.**

**დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს ვადების დაცვით. დაწესებულებას დაცული აქვს საკუთარი რეგულაციები.**

<u>რეკომენდაცია</u>

- დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28)
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიას BPA „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (დამტკ. 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10;

ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები (მუხლი 16) რომლის თანახმად:

„1. დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას.

2. აკადემია პროგრამის გაუქმებამდე აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი კრედიტების აღიარებით.“

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

დაწესებულებაში არ განხორციელებულა გარე მობილობა, შესაბამისად პროცესის გადამოწმება ვერ მოხერხდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28)
- კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებას ბრძანებით დანიშნული ჰყავს დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

დაწესებულებაში დირექტორის 2019 წლის 17 აპრილის N01-13 ბრძანებით დამტკიცებულია „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.
დაწესებულება 2018-2019 ს.წ. ჩათვლით ახორციელებდა მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს, შესაბამისად წარმოდგენილი იქნა საგნობრივი პროგრამების ხარისხიუ უზრუნველყოფის მექანიზმები-კითხვარები, ანგარიშები, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები.

დასამატებელი პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი იყო კურსდამთავრებულთა კითხვარები, დაინტერესებულ პირთა კვლევა (სკოლის მოსწავლე), დაინტერესებულ პირთა კვლევა (საზოგადოება) კითხვარი, კითხვარი დამსაქმებლებისათვის და ამ კვლევების საფუძველზე კვლევის ანალიზის დოკუმენტი, ასევე წარმოდგენილი იქნა პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული მიმდინარე ოქმები, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის ფორმების ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“, დოკუმენტით არაა გაწერილი ჩარჩო დოკუმეტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები. <u>დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა შექმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების</u>

<u>განხორციელების მონიტორინგი და შეიმუშაონ შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და საჭირო დოკუმენტები.</u>

<u>რეკომენდაცია</u>

- შეიქმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შემუშავდეს ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი (სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შეფასების ფურცლები, ლექციებზე დასწრების კითხვარები და სხვა)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკ. დირექტორის 17.04. 2019 წ.ბრძ. N01-13;
- გამოკითხვის კითხვარებით და ანგარიშით;
- პროგრამის ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფის სხდომის ოქმებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
----------------------
----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, გრიბოედოვის ქ. №67. აკადემია განთავსებულია აღნიშნული მისამართის შენობაში, რომლის მესაკუთრეებია: შპს „არზო“, და შპს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, აკადემია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს აღნიშნული შენობის 655 კვ.მ ფართობს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2018 წლის 30 აპრილს და მოქმედებს 2018 წლის 01 მაისიდან ხუთი წლის ვადით 2023 წლის 01 მაისამდამდე. აკადემიას გააჩნია, მე-2 და მე-3 სართულების აზომვითი ნახაზები, რომლებზეც მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის საჭირო აუდიტორიები, ადმინისტრაციის ოთახები და სხვადასხვა საჭიროებისთვის განკუთვნილი ფართები

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| **№** | **მისამართი** | **კვ.მ.** |
|---|---|---|
| 1 | საქართველო, ქ. ბათუმი 6010, გრიბოედოვის ქ. № 67 | 655 კვ.მ. |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- შენობის გეგმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, კომპიუტერები, მრავალფუნქციური პრინტერები, პროექტორი და ყველა ის ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.
სასწავლო პროცესი ხორციელდება შენობის მეორე და მესამე სართულზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები განხორციელდება A, B და C სასწავლო გარემოში, ქ. ბათუმში, ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში, გრიბოედოვის ქ.67-ში და პრაქტიკის ობიექტებზე.
საგანმანათლებლო პროგრამებს ემსახურება 2 B გარემო (თითოეული განსაზღვრულია 12 სტუდენტისათვის).

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“**

1. N 3-5 აუდიტორია (B გარემო);
2. N 18 აუდიტორია (A C გარემო);
3. N 17 ა აუდიტორია (A გარემო);
4. N 15 აუდიტორია ( C გარემო);

| **ფარმაცია** | | | |
|---|---|---|---|
| A გარემო | აუდ. №17 ა | სტუდენტის მაგიდა, სკამი | 20 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | მონიტორი | 1 |
| | | ნოუთბუქი | 1 |
| | | დაფა | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| AC<br>გარემო | აუდ.<br>№18 | სტუდენტის მაგიდა, სკამი | 20 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | მონიტორი | 1 |
| | | ნოუთბუქი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| | | აფთიაქის მოდელი<br>თერმომეტრები, შარდმიმღებები და ა.შ. | აღჭურვილი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად |
| | | | ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად |
| C<br>გარემო | აუდ.<br>№15 | მერხი,სკამი | 10 |
| | | პირველადი დახმარების ყუთი | 1 |
| | | მასწავლებლის  მაგიდა, სკამი | 1 |
| | | გამწოვი მოწყობილობა | 1 |
| | | კონდიციონერი | 1 |
| | | კარადა ქიმიური ჭურჭლისათვის | 1 |
| | | კარადა რეაქტივებისათვის | 1 |
| | | სარეცხი ნიჟარა | 1 |
| | | მაცივარი | 8 |
| | | მიკროსკოპი | 1 |
| | | რეფრაქტორი | 1 |
| | | წყლის აბაზანა | 1 |
| | | შესაბამისობაშია ჩარჩოდოკუმენტის მოთხოვნებთან | |
| B<br>გარემო | აუდ.<br>№ 5 | მერხი,სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის  მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| | აუდ.<br>№ 3 | მერხი, სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის  მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**

1. N 3-5 აუდიტორია - (B გარემო);
2. N 8 აუდიტორია (A C გარემო);

სასწავლო AC გარემო აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობითა და მასალებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით :

| საექთნო განათლება | | | |
|---|---|---|---|
| AC გარემო | აუდ. 8 | მერხი | 20 |
| | | სკამი | 20 |
| | | ნოუთბუქი | 1 |
| | | მონიტორი | 1 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| | | მანეკენი, სასწორი, შშმ პირის ეტლი, ტაფჩანი, ფონენდოსკოპი, თერმომეტრები, შარდმიმღებები და ა.შ. | ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად |
| B გარემო | აუდ. № 5 | მერხი,სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| | აუდ. № 3 | მერხი, სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“**

1. N 3-5 აუდიტორია (B გარემო);
2. N 11 აუდიტორია (A გარემო);

| **აღმზრდელი** | | | |
|---|---|---|---|
| A გარემო | აუდ. №11 | სტუდენტის მაგიდა, სკამი | 20 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | მონიტორი | 1 |
| | | ნოუთბუქი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| B გარემო | აუდ. № 5 | მერხი,სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |
| | აუდ. № 3 | მერხი, სკამი | 12 |
| | | კომპიუტერი, ნოუთბუქი | 12 |
| | | პროექტორი | 1 |
| | | მასწავლებლის მაგიდა, სკამი | 1 |
| | | კომბაინი | 1 |
| | | დაფა | 1 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალურ–ტექნიკური რესურსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

----------------------

----------------------

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი გარემო, არსებობს სათანადო ბუნებრივი განათება, ელ. ენერგიის მიწოდება ხდება უწყვეტად, იგი ყოველთვიურად უხდის დარიცხულ გადასახადს შენობის მესაკუთრეს: შპს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 'სინათლე", აკადამიას უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით, მას აქვს ხელშეკრულება შპს „ბათუმის წყალი"- თან, რომელიც გაფორმებულია 25.11.2013 წელს (№16, 2237). დარეგისტრირებულია, როგორც აბონენტი და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია წყლის მარაგით. აკადემიაში ორივე სართულზე არის სველი წერტილები.
აკადემია უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირის უწყვეტი მომარაგებით, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „სოკარ ჯორჯია გაზ"- თან 2018 წლის 13 თებერვალს და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. აკადემიაში არის ცენტრალური გათბობა და ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
----------------------
----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ბიბლიოთეკის საქმიანობა ხორციელდება განსაზღვრული ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დირექტორის ბრძ. №01-32, 27დეკემბერი, 2017წ, ცვლილებები 01-28, 01.11. 2018), „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. წესში გაწერილია პუნქტები: ზოგადი დებულებანი, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის პროცედურა, ბიბლიოთეკის მუშაობის დრო.
საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური პირი - ბიბლიოთეკის მენეჯერი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმართულებით.
ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტის ქსელში ჩართული 1 კომპიუტერით, 3 ნოუთბუქით, 1 საოფისე კომბაინით (მრავალფუნქციური პრინტერი).
საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 1034 ერთეულს და აღრიცხულია როგორც ბეჭდურ კატალოგში, ისე ელექტრონულ საძიებო სისტემაში (OPEN BIBLIO). სისტემა განთავსებულია სასწავლებლის ვებ გვერდზე, რაც იძლევა პროფესიული სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალი წვდომის საშუალებას.
პროგრამების მოდულების მიხედვით შერჩევით შემოწმდა ლიტერატურის სია, დადასტურდა მითითებული ლიტერატურის, ბეჭდური ან ელექტრონული სახით, არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28)
- საგანმანათლებლოპროგრამა - ,,ფარმაცია (სააფთიაქო)";
- საგანმანათლებლოპროგრამა - ,,საექთნო განათლება";
- საგანმანათლებლოპროგრამა - ,,აღმზრდელი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
----------------------
----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
- საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმე
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

დღეისათვის აკადემიის მფლობელობაშია:

| | ტექნიკა | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1. | კომპიუტერი | 23 | 18 სასწავლო გარემოში<br>5 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის. |
| 2. | ნოუთბუქი | 14 | 11 სასწავლო გარემოში<br>3 ბიბლიოთეკაში |
| 3. | საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი) | 8 | 3 სასწავლო გარემოში,<br>1 ბიბლიოთეკაში,<br>4 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის. |
| 4. | საბეჭდი მოწყობილობა პრინტერი | 2 | ადმინისტრაციის სარგებლობისთვის. |
| 5. | პროექტორი | 4 | |
| 6. | მონიტორი | 5 | |
| 7. | აუდიო აღჭურვილობა | 5 | |

აკადემია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, მას 2018 წლის 01 ნოემბერს (ხელშეკრულება № 47. № 03-12) გაფორმებული აქვს უვადო ხელშეკრულება შპს „ჯი -ემ -ემ სტუდიოსთან" ჰოსტინგისა და დომენის მიწოდების შესახებ. აკადემიას 2016 წლის 27 სექტემბერს აქვს გაფორმებული უვადო ხელშეკრულება შპს „csc batumi"-სთან კომპიუტერული და ორგტექნიკის შეკეთების და მომსახურების შესახებ. აკადემიას აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: აკადემიის ვებ გვერდი-www.bpa.ge, ელექტრონული ფოსტა - Bmk.edu.ge@gmail.com.
საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად აკადემიას ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას; აკადემიის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებას, გამართვას და ოპტიმალურ ფუნქციონირებას, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა – განვითარებას, აკადემიის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნას , მის მართვასა და სისტემატურ განახლება - გაფართოებას, აკადემიის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართულ მუშაობასა და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაციას, აკადემიის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, ტექნიკის მოდერნიზაციას, პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმღვანელობისათვის დახმარების გაწევას, ვიდეო კონფერენეციებისათვის ქსელური მხარდაჭერის კონფიგურირებასა და შესაბამისი აპარატურის მომზადებსა და გამართულ ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს რეგისტრანტთა, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ელექტრონული რეესტრის წარმოებას.

<u>რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ შექმნას კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი;</u>

**რეკომენდაცია**

სასურველია დაწესებულებაში არსებობდეს კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

- შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტებით, /ანგარიშ-ფაქტურები და სხვა საგადასახადო დოკუმენტაცია);
- ინტერნეტ-პროვაიდერთან და მომსახურების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2013 წლის 30 დეკემბრის №57 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. ბრძანებების აღრიცხვა ხორციელდება ჟურნალში გატარებით, რომელიც დანომრილია, აღრიცხული და ზონარგაყრილი, მათი სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია. საქმისმწარმოებელს გაკეთებული აქვს დოკუმენტების ელექტრონული ბაზა.
დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქციებია: აწარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, ა)უზრუნველყოფს აკადემიის დოკუმენტაციის მიმოსვლას და სისტემატიზაციას; ბ) უზრუნველყოფს დოკუმენტაციის გაგზავნას ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით; ახორციელებს აკადემიის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციას და აკადემიის თანამშრომლებამდე მიწოდებას; ამზადებს აკადემიის დირექტორის ბრძანების პროექტებს თანამშრომელთა დანიშვნის, სამსახურიდან გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ; ე) აკადემიის დირექტორის დავალებით ამზადებს პასუხებს აკადემიის შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე; ვ) აწარმოებს არქივს; ზ) საჭიროების შემთხვევაში ადგენს აკადემიის დირექტორის სამუშაო შეხვედრების და თათბირების ოქმებს; თ) უზრუნველყოფს საკადრო საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენას, წარმოებასა და შენახვას, აკადემიის თანამშრომელთა პირადი საქმეების ფორმირებას, შრომითი ხელშეკრულებების მომზადებასა და რეგისტრაციას; ი) აღრიცხავს აკადემიის დირექტორის დავალებებს და კონტროლს უწევს

დადგენილ ვადებში მათ შესრულებას; კ) ამზადებს პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ბრძანების პროექტს. ლ) ასრულებს აკადემიის დირექტორის სხვა დავალებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28)
- ➢ ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საქმისწარმოების წესი.
- ➢ შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა ბრუნვის, ბრძანებებით, ხელშეკრულებებისა აღრიცხვის ჟურნალებით;
- ➢ საქმის წარმოების მენეჯერთან გასაუბრებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) მუხლი 36. სრულად და მკაფიოდაა გაწერილი დაცვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
----------------------
----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში BPA ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია აკადემიის დაცვის სამსახური. აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „სახანძრო უსაფრთხოება"-სთან (2018 წლის 07 სექტემბერი), რომელთა მიერ შედგენილია შენობის საევაკუაციო გეგმა და დატენილია ცეცხლაქრები.

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA შენობის ყოველ სართულზე თვალსაჩინო, შესაბამის ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით, ყოველ სართულზე, კიბის უჯრედებთან და დერეფანში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ, ხელის ცეცხლმაქრები, რომლებიც დატენილია შპს „სახანძრო უსაფრთხოება"-ის მიერ (2018 წლის 07 სექტემბერი). ცეცხლაქრების მოქმედების ვადაა 2020 წლის სექტემბერი.

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო პუნქტი და აკადემიის დირექტორის მიერ დანიშნული ექიმი და ექთანი, რომელთა კომპეტენცია დასტურდება დიპლომით, მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც ინახება პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან პროფესიული სტუდენტები და პერსონალი; შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო სამსახური უწევს დაწესებულების ნებისმიერ პირს პირველად გადაუდებელ დახმარებას და უზრუნველყოფს „სასწრაფო მომსახურების" გამოძახებას. სასწავლებელში არსებობს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი. აკადემია იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება. აკადემიის ექიმი განსაზღვრავს პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალს და წარუდგენს აკადემიის დირექტორს. აკადემიას აქვს შეთანხმება შპს „გვირილა-2"-თან, რომელიც უზრუნველყოფს მედიკამენტების გაცემას აკადემიის ექიმზე წარდგენილი ჩამონათვალის მიხედვით. ანგარიშსწორება აკადემიასა და შპს „გვირილა-2"-ს შორის ხდება გადარიცხვით წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით.

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები**

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად, დაწესებულებაში შექმნილია დაცვის სამსახური. დებულებით გაწერილი სამუშაო აღწერილობების შესაბამისად დაცვის სამსახური მუშაობს 24 საათიან რეჟიმში და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და დაწესებულების დაცვას; უსაფრთხო და მშვიდ სამუშაო და სასწავლო გარემოს; ევაკუაციის

პროცესის ხელმძღვანელობას; შშმ და სსმ სტუდენტთა მომსახურებას. აკადემიას 2019 წლის 01 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო“-სთან ობიექტის 24 საათიანი დაცვის შესახებ, 1 წლის ვადით (ხელშეკრულება № 03-02). აკადემიაში დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები და მიმდინარეობს სწავლების პროცესის მუდმივი მონიტორინგი. აკადემიას 2019 წლის 25 იანვარს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ბეგურ“-თან სამეთვალყურეო სისტემების მიწოდება-მოწყობის შესახებ (ხელშეკრულება № 03- 01).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) მუხლი 36.
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

○

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.**7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიას BPA აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, შესაძლებელია დერეფნებში გადადგილება და აუდიტორიებთან წვდომა. არსებობს ადაპტირებული სველი წერტილი, სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის რეგულაციები გაწერილია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 37. რომლის თანახმად აკადემიის დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აღმოუჩინონ ყველა საჭირო დახმარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) მუხლი 37;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8.** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებ-გვერდი - *www.bpa.ge* ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ვებ-გვერდს გააჩნია წერილის გასაგზავნი ველი;

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ისტორია, მისია, მარეგულირებელი აქტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრუქტურა (ორგანოგრამა), კატალოგი, განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამებზე ჩარიცხვის რეგულაცია, პერსონალის, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია.

მიმდინარეობს ვებ გვერდის რეგულარული განახლება. თუმცა ვებ-გვერდზე კალენდრის არ არსებობის გამო შეუძლებელია ბოლო სიახლის - საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება - განთავსების თარიღის დადგენა, სავარაუდოდ ბოლო ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების, 2019 წლის 20 ივნისის, შემდგომ პეროიდში.

<u>რეკომენდაცია გაიცა ვებ-გვერდი უზრუნველყოფილი იქნას კალენდრით და ასევე ვებ-გვერდზე განთავსდეს უფრო მეტი ინფორმაცია, რომლებიც განთავსებულია აკადემიის Facebook გვერდზე.</u>

**რეკომენდაცია**

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია კალენდრით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით - *www.bpa.ge*
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტით- ხელშეკრულება N 03-12;  1.11.2018წ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9.** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) (01.2018-01.2024 წწ.) და ერთწლიანი (2019 წლის) სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 03 იანვრის N 01-01 ბრძანებით. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.
სტრატეგიულ გეგმაში (01.2018-01.2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიის მიზანი, სტრატეგიული ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.
2019 წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: აქტივობების, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მტკიცებულებების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- სამოქმედო გეგმით;
- დირექტორის 2019 წლის 12 აპრილის N97 ბრძანებით;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირადი საქმისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები გაწერილია დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28) მუხლი 30. დაწესებულების როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროფესიული მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება ან პრაქტიკული გამოცდილება,

**დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28), მუხლი 30;
- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- პროფესიულ პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- დანიშვნის აქტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

აკადემიაში მასწავლებლის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კონკურსით ან აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით. მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე. ასევე შესაძლებელია სხვა საინფორმაციო საშულებით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დასამატებელი პროგრამების პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

**„აღმზრდელი**“

შპს ,,ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიას BPA“- გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან, რომლის ვალდებულებაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აღმზრდელის’’ ფარგლებში 6 მოდულის განხორციელება/სწავლება. მას არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით მინიჭებული აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით, ხოლო სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი ცნობა არ იძლევა ინფორმაციას სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობის შესახებ.

ექსპერტების ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ,,ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA“-ის დირექტორის 2019 წლის პირველი აგვისტოს N01-29 ბრძანება ,,აღმზრდელის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ, კერძოდ მითითებული პირი ჩანაცვლებულია სხვა ფიზიკური პირით, რომელიც 2011 წლიდან მუშაობს ა(ა)იპ ,,ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ N7 საბავშვო ბაღში უფროსი აღმზრდელის თანამდებობაზე  და შესაბამისად უდასტურდება კვალიფიკაცია.

**„ფარმაცია (სააფთიაქო)“**

დანართი 1- ში სადაც მოცემულია ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, გვხვდება  კვალიფიკაციის არასწორი ფორმულირება: კერძოდ სამკურნალო საქმის ბაკალავრი, უკანასკნელი არ შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ კანონმდებლობას.

დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციები ასახოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 60 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 39 პროფესიული მასწავლებელი.
პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 60/39=1,5

„ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 40 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 21 პროფესიული მასწავლებელი.
პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 40/21=1.9

„აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 40 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 11 პროფესიული მასწავლებელი.
პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 3,6 .

პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია  შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**რეკომენდაცია**

- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების დანართი 1-ში განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ფორმულირება თანხვედრაში მოიყვანოს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით მინიჭებულ კვალიფიკაცისათან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატების შერჩევისა და სამუშაოზე მიღების პროცედურები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და გაწერილია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“, მუხლი 30-32.
ამავე დებულებით რეგულირდება პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დებულებით განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღებისათვის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა.
პირადი საქმეები დაკომპლექტებულია დებულებით გაწერილი დოკუმენტებით.
პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების და შრომითი ხელშეკრულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 27.12.2017წ. ბრძ. N01-32; ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (ცვლ. 14.03.2019წ. ბრძ.N01-10; ცვლ. 01.08.2019წ. ბრძ.N01-28), მუხლი 30;
- პერსონალის პირადი საქმეებით ;
- შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფარმაცია (სააფთიაქო) | მეხუთე საფეხური /დონე | ა) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში | | 153 | ქართული | | | 40 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

----------------------

----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი ). 090352<br>ბ) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 | 123 | | | ქ. ბათუმი 6010, გრიბოედოვის ქ. № 67 | 0 | |
| 2 | საექთნო განათლება | მეხუთეს აფეხური /დონე | ა) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (2020 წლის 29 თებერვლამდე) 090354<br>ბ) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 | 180 | 210 | ქართული | ქ. ბათუმი 6010, გრიბოედოვის ქ. № 67 | 0 | 60 |
| 3 | აღმზრდელი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. 030255 | 116 | 146 | ქართული | ქ. ბათუმი 6010, გრიბოედოვის ქ. № 67 | 0 | 40 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

12.08.2019წ.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-----------------------

-----------------------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*